თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-6507-24
21 / 02 / 2024

შპს „იფქლი დიღომი“-ს დირექტორს
ნისან იოსებაშვილს

ბატონო ნისან,

თქვენი მიმდინარე წლის 2 თებერვლის №02-13-6507-24 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქალაქი თბილისი, რევაზ მამისაშვილის ქუჩა №1ბ-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი: №01.19.21.001.370) სამშენებლოდ გამოყენების პირობის დადგენასთან დაკავშირებით პოზიციას გაცნობებთ, რომ კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე გადის შპს „თბილისი ენერჯი''-ს კუთვნილი საჰაერო D=70 მმ-იანი საშუალო წნევის გაზსადენი. ნაკვეთის სიახლოვეს ფიქსირდება საჰაერო D=50 მმ-იანი და 2 (ორი) მიწისქვეშა საშუალო წნევის გაზსადენი.

კომპანია არ არის წინააღმდეგი მოიპოვოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობა შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების შეთანხმება შპს „თბილისი ენერჯი''-სთან;
- სამშენებლო სამუშაოების შეთანხმების ეტაპზე დაზუსტდება გაზსადენის ზუსტი ტრაექტორია. იმ შემთხვევაში, თუ გაზსადენი კვეთს მიწის ნაკვეთს აუცილებელია განხორციელდეს მისი საკადასტრო ერთეულის წითელი ხაზებიდან გადატანა/მარშრუტის ცვლილება. საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების თანხების ანაზღაურებას და საჭიროებისამებრ, სამუშაოების წარმოებისთვის აუცილებელი ნებართვების მოპოვებას უზრუნველყოფს დამკვეთი;
- სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იყოს რეკონსტრუირებული გაზსადენის შეზღუდვის არეალი შენობა-ნაგებობის საძირკვლამდე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანებით დამტკიცებული „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები“-ს მიხედვით.

აქვე გაცნობებთ, რომ საჭიროებისამებრ გენგეგმის დამოწმება შპს „თბილისი ენერჯი“-ს მხრიდან მოხდება სამშენებლო სამუშაოების შეთანხმების ეტაპზე.

აღნიშნული შეთანხმება დაუშვებელია გამოყენებულ იქნას სამშენებლო სამუშაოების ნებართვის მიღების მიზნით. წერილში მითითებული პირობების დარღვევა გამოიწვევს შეთანხმების გაუქმებას.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

JSC ENERGO-PRO GEORGIA
East Georgia Central Branch
24 Zurab Anjafaridze street
0186 Tbilisi, Georgia
სს „მნერგო-პრო ჯორჯია”
აღმოსავლეთ საქართველოს
ცენტრალური ფილიალი
ზურაბ ანჯაფარიძის №.24
0186 თბილისი, საქართველო

50020459
09/02/2024

ნისან იოსებაშვილ-ს
მის:ქ.თბილისი რევაზ მამისაშვილის-1ბ
ტელ: 577 17 10 33

ბატონო ნისან,

თქვენი 2024 წლის 26 იანვრი-ს შემ. № 80044290 წერილის პასუხად, რომელიც ეხებოდა ქალაქ თბილისში რევაზ მამისაშვილის ქუჩაზე შპს „იფქლი დიღომი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.21.001.370) მშენებლობის სამუშაოებისთვის, ინფორმაციას კომუნიკაციებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ტერიტორიაზე, არ გადის სს ,,ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებული კომუნიკაცია.

პატივისცემით სს „ენერგო-პრო. ჯორჯია“-ს
ქვემო ქართლის ფილიალის მთავარი ინჟინერი

ზურაბ ჯაფარიძე

შემსრულებელი: შრომის უსაფრთხოების ინჟინერი ბესიკ გოგოლაძე ტელ: 577 35 33 06

№ 655/24-8 "05" 02 2024

შპს „იფქლი დიღომი“-ს დირექტორს
ბატონ ნისან იოსებაშვილს
itdpuri@gmail.com
ტელ: 577171033

ბატონო ნისან,

თქვენგან შემოსული წერილის (#8-815; 29/01/2024წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, რევაზ მამისაშვილის ქ. 31ბ-ში, მიწის ნაკვეთზე ს. კოდით 01.19.21.001.370 გადის სს „სილქნეტის“ მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომელსაც გაწვდით თანდართულ CD დისკზე შეიპ ფაილის ფორმატში.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე მესაკუთრე დააპირებს სამშენებლო ან გათხრით სამუშაოებს, იგი ვალდებული იქნება წარმოადგინოს პროექტი სს „სილქნეტში“ შეთანხმების მისაღებად.

სს „სილქნეტის“ კომუნიკაციასა და საპროექტო ობიექტებს შორის დაშორება შეადგენს მინიმუმ 1 მეტრს.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
ასტამურ აჩბა